# "ობამამ დაუშვა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიტაცება"



**აშშ-ს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ობამას რეჟიმს ადანაშაულებს და აღნიშნავს, რომ მან დაუშვა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის მიტაცება.**

რუსეთთან ურთიერთობებზე დასმულ კითხვაზე, დონალდ ტრამპმა ივლისში, ჰელსინკიში პუტინთან გამართულ შეხვედრაზე ისაუბრა.

> *„ძალიან კარგი შეხვედრა მქონდა პრეზიდენტ პუტინთან. ჩვენ ბევრი რამე განვიხილეთ: სირია, უსაფრთხოება, უკრაინაში არსებული ვითარება. იმ ფაქტზეც ვისაუბრე, რომ პრეზიდენტმა ობამამ დაუშვა რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის დიდი ნაწილის მიტაცება“, — განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე.*

ჟურნალისტის შენიშვნაზე, რომ „ყირიმის ანექსირება პრეზიდენტმა პუტინმა მოახდინა“, დონალ ტრამპმა განაცხადა, რომ ეს ობამას რეჟიმი მოხდა.